პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 15 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

წითელი არმიელი

183 (881)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

გერმანიის მუშათა დელეგაციამ ღირსეულად შეაფასა ჩვენი სინამდვილე.

გერმანიის დელეგაციამ დაასრულა თავისი მოგზაურობა საქართველოში. გამოთხოვებისას მან მიმართა მოწოდებით საქართველოს მუშებს და გლეხებს.

ეს მოწოდება კიდევ ერთი სასტიკი ლახვარია ყველა იმათ თავზე, ვინც ათასგვარ ჭორებს და პროვოკაციულ ხმებს ავრცელებს საბჭოთა საქართველოს შესახებ.

გერმანიის მუშათა დელეგაციამ სულ ათიოდე დღე დაჰყო ჩვენს ქვეყანაში. მან მოიარა საბჭოთა საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი კუთხეები და როგორც თვით დელეგაცია აცხადებს ამ კვირანახევარში სავსებით გაეცნო ჩვენს ცხოვრებას და სინამდვილეს.

როგორია ეს სინამდვილე:

„ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ თქვენს ქვეყანას აქვს სრული ეროვნული თავისუფლება, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა და ხელმძღვანელი ორგანოები ადგილობრივი მცხოვრებლების ხელშია და თქვენი მტრების ლაყბობა თქვენი ქვეყნის ოკუპაციის შესახებ მოსკოვის მთავრობის მიერ მთლიანად სიყალბე აღმოჩნდა.

ოკუპაცია კი არა, არამედ მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან,—აი რა დავინახეთ ჩვენ“.

არა გვგონია ამ სიტყვების შემდეგ კარგ გუნებაზე დადგენ გერმანიის მენშევიკები და საერთოდ ყველა ქვეყნის სოციალ-გამყიდველები, რომლებიც დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში მუდამ ჩაჩიჩინებდენ საზღვარ-გარეთის მუშათა კლასს იმის შესახებ, რომ საქართველო თითქოს, დამონავებულია მოსკოვის „წითელი იმპერიალიზმის“ მიერო. ეხლა ამ მუშების დელეგატები საქვეყნოდ აღვიარებენ, რომ ყოველივე ის, რასაც სოციალ დემოკრატია ავრცელებდა საბჭოთა საქართველოზე, სრული სიყალბეა და სინამდვილეს არ შეეფერებაო.

ცხადია გერმანიის მუშათა დელეგაციის ამ განცხადებას აღშფოთებით და დორბლის ყრით შეხვდება მთელი გამყიდველთა ბანაკი. ეს გათვალისწინებული აქვს გერმანიის დელეგაციასაც.

„ეჭვი არ გვეპარება იმაში, ამბობს ის თავის მოწოდებაში, რომ ჩვენი მტრები ჩვენ მოსყიდულებათ გამოგვაცხადებენ, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის ვიბრძოლოთ მუშათა საქმისათვისო“.

გერმანელი ამხანაგები პატიოსან სიტყვას გვაძლევენ, რომ ისინი სრულ სიმართლეს იტყვიან ჩვენ შესახებ. „ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავათ ყველა მოსალოდნელი დაბრკოლებებისა, ჩვენ ვიტყვით სიმართლეს თქვენი ქვეყნის შესახებ“.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ისინი პატიოსნად შეასრულებენ თავისი დაპირებას და მით ხელს შეუწყობენ დასავლეთის და ჩვენ ქვეყნის მუშათა კლასის უფრო მჭიდროთ დაახლოებას და დაკავშირებას.

„ჩეხიის ბურჟუაზიის ზრახვები“.

„იზვესტიას“ წერილი.

ამ სათაურით გაზეთ „იზვესტიაში“ მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ამ დღეებში გაზ. „იზვესტია“ სწერდა იმ ცილისწამებისა და სიცრუის კამპანიის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ ჩეხიის ბურჟუაზიული გაზეთები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ კამპანიამ ამ ჟამად შესცვალა მისამართი და მიიღო უფრო მარტივი ფორმა. გაზეთები ბრალს სდებენ უკვე არა საბჭოთა მთავრობას, არამედ კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელსაც თითქოს მოეწყოს ორგანიზაცია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ მასარიკის მოკვლისათვის.

ჩვენ, როგორც არა კომუნისტურ ინტერნაციონალის ორგანოს, უფლება გვაქვს მოვუთითოთ, თუ სანამდი შეუძლია მივიდეს ბურჟუაზიული გაზეთები მომავალ არჩევნებზე დამარცხების შიშით.

კომინტერნის პარტიების 6 წლის განვითარების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ადგილი ჰქონებოდეს პოლიტიკურ ტერორს.

არსად და არასოდეს, არც ერთ პოლიტიკურსა და ტაქტიკურ რეზოლიუციაში, არც ერთ კომინტერნის პარტიას არ გამოუთქვამს აზრათ, რომ შეიძლება კერძო ტერორების საშუალებით ჩამოგდებულ იქნას კაპიტალისტური მთავრობა, ან და შერყეულ იქნას ის იმდენად, რომ გაადვილდეს აჯანყებათ.

კომუნისტებს რა ესაქმება მასარიკთან ან რად სჭირდება მისი სიკვდილი! რომ კომუნისტური პარტია ამზადებდა მასარიკის მოკვლისთვის ორგანიზაციას, ან ფიქრობდა მასზე—ყოველივე ამის მტკიცება სჭირდება ჩეხიის ბურჟუაზიას, რათა თვალები აუბას ამომრჩევლებს და ისარგებლოს კენჭის ყრის დროს.

ჩეხიის კომუნისტური პარტია, უეჭველია, შესძლებს მოიგერიოს ასეთი იერიშები და გაჰფანტოს მის გარშემო მტრების მიერ შექმნილი ბურუსი.

მტრებისა და გამცემლების, ერთი მუჭა შეთქმულთა—კაპიტალისტების ყოველგვარი ღონისძიება ამაოა.

ამაო იქნება აგრეთვე ცდები, რათა ჭორების ახალი კამპანიებით გააჭიანურონ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის მიერ“.

ახალი რადიო-ამბები

ინგლისის მთავრობამ მოიწონა შეთანხმება ბრიანსა და ჩემბერლენს შორის.

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობამ მოიწონა სავსებით საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრებს, ბრიანსა და ჩემბერლენს შორის შეთანხმება საგარანტიო საკითხის გარშემო.

გერმანიის გაზეთები ლონდონის თათბირის შესახებ.

მოლაპარაკება წარმატებითი იქნება, თუ რომ გერმანიას ანგარიშს გაუწევენ.

გერმანიის დემოკრატიული გაზეთები, რომლებიც მხარს უჭერდენ საგარანტიო ხელშეკრულებას, არაფერს არ ამბობენ ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის შედეგების შესახებ.

გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატტი“ აღნიშნავს, რომ ჩემბერლენმა და ბრიანმა სრულიად დაამახინჯეს გერმანიის წინადადებები საგარანტიო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ნაციონალისტების გაზეთი „დეიტშე ტაგესცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ როგორც ლონდონის თათბირიდან სჩანს კიდევ არ მომწიფებული დრო საგარანტიო ხელშეკრულებისთვის.

მოლაპარაკების წარმატება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მოკავშირე მთავრობები სავსებით გაუწევენ ანგარიშს გერმანიას.

არაბთა მღელვარება ინგლისელების წინააღმდეგ.

არაბეთში დიდი მღელვარება გამოიწვია ინგლისელების მიერ არაბთა ქალაქ აქაბის დაკავებამ. ბედუინთა ტომები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ძალმომრეობის წინააღმდეგ და იმუქრებიან გეჯასის რკინისგზაზე თავდასხმით, თუ რომ მას ინგლისელები დაიკავებენ. საპროტესტო მოძრაობა ვრცელდება აგრეთვე ტრანსიორდანიასა და პალესტინაში.

რევოლიუციონური მოძრაობა ტრანსიორდანიაში.

არაბები იბრძვიან საბჭოთა წესწყობილების დამყარებისთვის.

ტრანსიორდანიაში მყოფ მრავალრიცხოვან ჩერქეზთა მოსახლეობაში სწარმოებს ფართე მოძრაობა საბჭოთა კავშირში გადასახლებისთვის, სადაც ჩერქეზები სარგებლობენ ეროვნულ თავისუფლებით.

ტრანსიორდანიის არაბებს შორის ვრცელდება რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც მიმართულია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ და საბჭოთა ძალა-უფლების დასამყარებლად. მთავრობამ მიიღო სასტიკი ზომები ამ მოძრაობის წინააღმდეგ.

დააპატიმრეს მრავალი პროპაგანდისტი და გადაასახლეს.

რას მოითხოვენ სირიის მშრომელები.

საფრანგეთის წარმომადგენელს ბრიუნეს სირიაში ყოფნის დროს მუშათა დელეგაციამ წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებანი: გადასახადების შემსუბუქება, შრომის დაცვა, სასწავლებლების აგება, მოხელეების ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა და აგრეთვე სირიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შექმნა.

ცალმხრივი ამნისტია.

კომუნისტური პარტია განაგრძობს ბრძოლას სრული ამნისტიისთვის.

გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო ამნისტია, რომელიც თვით დემოკრატიული ორატორების განცხადებითაც კი ხელსაყრელია მხოლოდ მემარჯვენე ბანაკის პირთათვის.

კომუნისტების წინადადებები სულ ყველა უარყოფილ იქნა.

კომფრაქციამ განაცხადა, რომ პოლიტპატიმრებმა წინადადება მისცეს რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატებს არ მისცენ ხმა ნაწილობრივ ამნისტიას, ვინაიდან ისინი დასტოვებენ ციხეებს მხოლოდ დანარჩენ პოლიტპატიმრებთან ერთად.

კომუნისტური პარტია განაგრძობს ბრძოლას სრული ამნისტიისთვის.

ორშაბათს, 17 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის ალმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ტფილისის მაზრაში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება საზოგადო სამუშაოების მსვლელობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

გერმანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია.

საქართველოდან დაბრუნებისას გერმანიის მუშათა დელეგაციამ გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია.

საქართ. მუშებს და გლეხებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვტოვებთ თქვენს ქვეყანას. გიცხადებთ მხურვალე მადლობას გულითადი მიღებისათვის და იმ დიდი სიმპატიისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენდამი.

საქართველო წარმოადგენდა ისეთ ადგილს, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავდა გერმანიის დელეგაციას. გერმანიაში დისკუსია თქვენი ქვეყნის შესახებ მეტად მწვავე იყო და ცილისწამება კი მის შესახებ მეტად უჩვეულო. ამის გამო ჩვენ კვირა ნახევარი მოუნდით თქვენი ქვეყნის შესწავლას. ჩვენ არ დავკმაყოფილდით მარტო თქვენი დედა ქალაქ თბილისით, ჩვენ ვიყავით აგრეთვე აჭარისტანის და აფხაზეთის რესპუბლიკებში და თქვენი ქვეყნის სხვა ადგილებში.

ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ თქვენს ქვეყანას აქვს სრული ნაციონალური თავისუფლება, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა და ხელმძღვანელი ორგანოები ადგილობრივი მცხოვრებლების ხელშია და თქვენი მტრების ლაყბობა თქვენი ქვეყნის ოკუპაციის შესახებ მოსკოვის მთავრობის მთლიანად სიყალბე აღმოჩნდა. ოკუპაცია კი არა, არამედ მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან,—აი რა დავინახეთ ჩვენ. ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით იმ დიდ დახმარებაში, რომელსაც გიწევთ თქვენ რუსეთის მთავრობა ელექტროსადგურების, რკინისგზების, წარმოებების და სხვათამოწყობით.

შემდეგ ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ეროვნულ უმცირესობას, რომლებიც მრავლათ სცხოვრობენ თქვენს ქვეყანაში, მინიჭებული აქვთ სრული ნაციონალური დამოუკიდებლობა და ავტონომია, რაც წინეთ არ იყო, და რომ სისხლისმღვრელი შეტაკებანი, რომელიც წინეთ ყოველდღიური მოვლენა იყო ცალკე ეროვნებათა შორის,—ეხლა გაქრა.

სრულიად ურყევი ფაქტია—და ეს დაადასტურეს ციხეში მყოფმა მენშევიკებმა,—რომ არსებული მთავრობა და საქართველოს თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთთან საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის ერთად-ერთი გარანტიაა.

ყოველ მოაზროვნე მუშისათვის ნათელია, რომ ანტანტა, რომელსაც ხელში უნდოდა ჩაეგდო ბაქოს ნავთის წყაროები, ვერასოდეს ვერ მისცემდა საქართველოს ასეთ დამოუკიდებლობას.

ჩვენ პირადათ ვესაუბრეთ მრავალ მუშებს (მათ შორის გერმანელ მუშებსაც), ჩვენ ვიყავით გერმანელ კოლონისტების სოფლებში. ჩვენ მივიღეთ მტკიცე და პატიოსანი რწმენა, რომ გლეხების უმრავლესობა, რომლებმაც მთავრობისაგან მიიღეს მსხვილი მემამულეების მიწები და აგრეთვე მუშები, რომლებიც ეხლა თვითონ განაგებენ წინანდელი კაპიტალისტების წარმოებებს და რომლებსაც აქვთ ნამდვილი და მტკიცე 8 საათის სამუშავო დღე,—ყველა ისინი მხარს უჭერენ საქართველოს ეხლანდელ მთავრობას, რომელიც მუდამ და წარმატებით ზრუნავს გლეხების კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატებითი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარეობის წინააღმდეგ ნაციონალური სკოლების მოწყობის და შექმნის გზით.

ჩვენთვის საინტერესო იყო აგრეთვე დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მცირე ეროვნებათა პიონერების მოძრაობას ისეთივე მკაფიოთ გამოხატული მასიური ხასიათი აქვს, როგორც რუსეთში.

როდესაც ჩვენ ვათვალიერებდით დასასვენებელ სახლებს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ღრმა და საფუძვლიანმა განსხვავებამ თქვენს პროლეტარულ სახელმწიფოსა და დასავლეთის ეგრედწოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

ჩვენში სანატორიუმი და დასასვენებელი სახლები უპირველეს ყოვლისა არსებობენ კაპიტალისტებისა და მუქთახორებისათვის, თქვენში კი მუშებისთვის.

შემდეგ თქვენი დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თქვენ გაანთავისუფლეთ ქალი მრავალ-საუკუნოებრივი მონობისაგან და გახადეთ ის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

ჩვენ, გერმანელები, განსაკუთრებით გაგვაკვირვა იმ მჭიდრო სოლიდარობამ, რომელიც არსებობს თქვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს შორის.

ჩვენ ვიყავით აგრეთვე თქვენს ციხეებში, სადაც ვესაუბრეთ დაპატიმრებულ მენშევიკებს. ყველაფერი ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, სავსებით შეეფერება იმას, რაც ვნახეთ სხვა ადგილებში და რაზედაც ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ სპეციალურ ანგარიშში.

სხვა ყველა დანარჩენი ცნობები, რომლებსაც ავრცელებს ბურჟუაზიული პრესა თქვენი ქვეყნის შესახებ მთელს მსოფლიოში და რომლებსაც სამწუხაროდ ნაწილობრივ ბეჭდავენ სოციალ-დემოკრატიული გაზეთებიც, ყალბია.

ჩვენ არ ვმალავთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოთ, რომ თქვენ მხოლოდ ეხლა იწყებთ აღმშენებლობას და თქვენს წინაშე ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა კულტურულ სფეროში. მაგრამ ჩვენ ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ თქვენ გააკეთეთ ყველაფერი ის, რაც ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებში იყო იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაგეტარებიათ მარქსის და ენგელსის მოძღვრება.

წასვლის წინ ჩვენ ერთხელ კიდევ გისურვებთ გამარჯვებას თქვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში. ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავათ ყველა მოსალოდნელი დაბრკოლებებისა, ჩვენ ვიტყვით სიმართლეს თქვენი ქვეყნის შესახებ.

ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი მტრები ჩვენ მოსყიდულებათ გამოგვაცხადებენ, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის ვიბრძოლოთ მუშათა საქმისთვის.

ჩვენ გემშვიდობებით თქვენ იმ იმედით, რომ გერმანიის მუშათა კლასისთვის შორს არ არის ის დღე, როდესაც ის, როგორც გაბატონებული კლასი, შესძლებს ძმური ხელი გაუწოდოს საქართველოს პროლეტარიატს.

გერმანიის მუშათა დელეგაციის საქართველოს ჯგუფის
სახელით გ. მელე.
პრეზიდიუმი გ. ბეკ.
ვ. ბენევიც.
თბილისი
1925 წლის 13 აგვისტო.

სამხედრო საქმე

მომავალ მანევრებისთვის.

მანევრებში მონაწილეობისთვის შეკრებილ ჯარებში ინიშნებიან მანევრების ხელმძღვანელები და მომრიგებლები (მსაჯულები).

ორმხრივ მანევრში მონაწილე ჯარები ღებულობენ მანევრების მთავარ ხელმძღვანელისაგან სახელწოდებას, რომელიც მანევრის დასრულებამდი არ იცვლება. ეს სახელწოდება მდგომარეობს მასში, რომ ერთ მხარეს ერქმევა მაგ. **წითელი მხარე**, ხოლო მეორეს „ლურჯი“.

ამასთან წითელ არმიელთა, მეთაურთა, ადმინისტრატიულ სამნეო და პოლიტშემადგენლობის გარეგანი განსხვავებისთვის მანევრის მთავარი ხელმძღვანელი აწესებს განმასხვავებელ ფერად ნიშანს (და არა თეთრს), რომელიც მიკერებულ იქნება მკლავზე ხალათის ან ფარაჯის მარჯვენა სახელოზე; ან და მიიმაგრებენ თავზე მწვანე ტოტს და სხვა. განმასხვავებელი ნიშანი უნდა იცოდეს ჯარების ორივე მხარემ. ამას გარდა მანევრების წარმოების დროს მეომრებს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ერთგვარი წესი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ.

ერთი წესთაგანი, რომლის შეუსრულებლობა ზიანს მოუტანს მოსახლეობას—ესაა მოფრთხილება დათესილ მინდვრების, ბაღების, ბოსტნების და სხვა. ამ წესის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ნათეს მინდვრებსა და ბოსტნებს უნდა შემოუარონ ჯარებმა და არ გასთელონ ფეხით. თუ რომ ამოცანების მიხედვით აუცილებელი იქნება გავლა ნათესი მინდვრითა და ბოსტნით, იმ შემთხვევაში გავლილ უნდა იქნას ისინი ფთრხილად და შეიძლება არ იქნას დაცული მწყობრის ტაქტიკური ფორმები.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ნათესი მინდვრები, ბაღები და სხვა გაუვლელ ადგილად (ტბა, ჭაობი და სხვა) არ ჩაითვლება და მეომარმა უნდა იცოდეს, რომ ნამდვილ საბრძოლო პირობებში ის არ გაუფრთხილდება ნათეს მინდვრებს, არამედ გამოიყენებს მათ შენიღბვისა და ფარულად წინსვლის მიზნით.

ყველაფერი ეს უნდა იცოდეს მეომარმა და არ უნდა აურიოს ერთმანეთში სასწავლო მეცადინეობა (მანევრი) და ნამდვილი ბრძოლა, როცა მოსახლეობის ზარალზე ფიქრი არც კი მოგიხდება.

პ.

რადარა შეღავათები ენიჭება წითელ არმიელთა ოჯახებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადში.

დებულებით მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ამა წლის 7 მაისიდან ფართე შეღავათები ენიჭებათ წითელი არმიისა და ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ამ წელში წითელ არმიელთა შეღავათების საქმე ისეა მოწყობილი, რომ თვითეულმა, წითელ არმიასა და ფლოტში მოსამსახურემ უნდა მიიღოს შეღავათი. წითელ არმიელთა შეღავათები ამ წელში ვრცელდება მთელ რიგ იმ პირთა ოჯახებზედაც, რომელთაც გასულ წელში არ უსარგებლიათ ასეთი შეღავათებით.

წითელ არმიელთა შეღავათებით სარგებლობენ: წითელ არმიაში, საჰაერო და საზღვაო ფლოტში და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარებში ნამდვილ სამსახურში მყოფთა მეურნეობანი, 1925 წელში ნამდვილ სამსახურში გამოწვეულთა ოჯახების მეურნეობანი, მარქაფში და უვადო შვებულებაში წასულთაგან სამხედრო ინსტრუქტორებად და მეთაურთა შემადგენლობის სასწავლო შეკრებაზე გაწვეულთა მეურნეობანი; 1925 წლის 15 მარტიდან მარქაფში, უვადო შვებულებით ან სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლებულთა მეურნეობანი; მილიციაში მსახურთა მეურნეობა, მეურნეობა სამოქალაქო ან იმპერიალისტურ ომის სახიჩართა, რომლებიც ირიცხებიან სახიჩრობის გამო ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფში; მეთაურთა სკოლების კურსანტთა, საბჭოთა პარტსკოლის, კომუნისტური უნივერსიტეტის და მუშფაკის მსმენელთა მეურნეობანი.

მჭამელთა აღრიცხვის დროს ჩამოთვლილი პირები ჩაირიცხებიან მათ რიცხვში, სადაც კურსანტები და მეთაურთა, ადმინისტრატიულ, პოლიტიკურ, საექიმო და სავეტერინარო შემადგენლობის პირები, და აგრეთვე მშრომელთა სამხედრო მომზადებისთვის გაწვეული ინსტრუქტორები ჩაითვლებიან თითო ორ მჭამელად, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომელთაც შეუსრულებიათ სავალდებულო სამსახურის ვადა და დარჩენილან სამსახურში თავის სურვილით, ჩაითვლებიან თითო სამ მჭამელად.

ეს შეღავათი დამყარებულია იმაზე, რომ რაც მეტი მჭამელია მეურნეობაში (ოჯახში), მით უფრო ნაკლები დაბეგრული ერთეული მოდის მჭამელზე და, მაშასადამე, მით უფრო ნაკლები იქნება მეურნეობაზე (ოჯახზე) გადასახადი.

აღნიშნულ პირთა მეურნეობანი, სადაც თითო მჭამელზე მოდის მიწა—და შინაური საქონელი სახნავ მოედანზე გადაანგარიშებით არა უმეტეს დესეტინის სამი მეოთხედისა, თავისუფლდებიან სრულიად მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, თუ რომ ოჯახში არ დარჩენილა შრომის უნარიანი მამაკაცები; თუ რომ შრომის უნარიანი მამაკაცები არიან ოჯახში, იმ შემთხვევაში მეურნეობა თავისუფლდება ნახევარი გადასახადისაგან, ხოლო მეურნეობანი (ოჯახები), რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ვადის ზევით მსახურ უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები, თავისუფლდებიან გადასახადის ორი მესამედისაგან.

ჩამოთვლილ პირთა მეურნეობანი (ოჯახები), რომლებშიაც თითო მჭამელზე მოდის მიწა და შინაური საქონელი სახნავ-სათესზე გადაანგარიშებით არა უმეტეს $1^{1}/_{8}$ დესეტინისა, თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნახევრისაგან, თუ რომ ოჯახში არ დარჩენილა შრომის უნარიანი მამაკაცები; ხოლო მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან ვადის ზევით მსახურ უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები, თავისუფლდებიან გადასახადის ორი მესამედისაგან.

აღნიშნულ პირთა მეურნეობანი, რომლებსაც არა ჰყავთ მუშა საქონელი, სრულიად თავისუფლდებიან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ეს შეღავათი გაცილებით ფართეა, ვიდრე სათანადო შეღავათი საერთოდ გლეხთა მეურნეობათათვის: გლეხის მეურნეობა, რომელსაც არა ჰყავს მუშა საქონელი, თავისუფლდება ნახევარი გადასახადისაგან, თუ რომ მასში მიწა და საქონელი სახნავ-სათესზე გადაანგარიშებით მოდის თვითეულ მჭამელზე არა უმეტეს დესეტინის სამი მეოთხედისა.

ჩამოთვლილ პირთა მეურნეობანი, გარდა სახიჩრებისა, რომლებსაც თავიანთ შემადგენლობის გამო არ შეუძლიათ ისარგებლონ არც ერთ ზემოაღნიშნულ შეღავათებით, თავისუფლდებიან მათი ხვედრი გადასახადის ერთი მეოთხედისაგან. სახიჩრებზე ეს შეღავათები არ ვრცელდება.

წითელ არმიელთა შეღავათები არ ვრცელდება სამხედრო და საზღვაო უწყების, საჰაერო ფლოტის, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავისუფალ დაქირავებულ მოსამსახურეებსა და მილიციის საკანცელარიო შემადგენლობაზე.

მეურნეობანი (ოჯახები), რომელთა შემადგენლობაშიც შედიან სწავლებისათვის და შეკრებაზე გაწვეულ ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობის პირები, სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადის გადიდებით ერთი თვით დღიდან მათი დაბრუნებისა შეკრებიდან და სწავლებიდან; გადასახადს პენია (სარგებელი) ამ ხნის განმავლობაში ზედ არ ერთვის.

წითელ არმიელთა შეღავათების მიღებისთვის საჭირო არაა შუამდგომლობის მიცემა გადამხდელთა მხრივ. რომ შეღავათები მიიღონ, საჭიროა: სამსახურის მოწმობა წითელ არმიისა და ფლოტში, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში და მილიციაში სამსახურის შესახებ; უვადო შვებულებით, მარქაფში ან სამსახურიდან სრულიად განთავისუფლების შესახებ; სამხედრო კომისარიატის მოწმობები 1925 წელში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულთათვის, ტერნაწილებში სწავლებისთვის ან შეკრებაზე გაწვეულთათვის. სასწავლებლის მოწმობები სამხედრო სკოლების, საბჭოთა პარტსკოლების, კომუნისტურ უნივერსიტეტებისა და მუშფაკების მსმენელთათვის; სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების, რომ ის ეკუთვნის სახიჩრობის გამო ამა თუ იმ ჯგუფს (სამოქალაქო და იმპერიალისტურ ომების სახიჩართათვის).

შეღავათები ენიჭებათ გადასახადის გამოანგარიშების დროსვე.

ზემო ჩამოთვლით პირთა განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლებსაც ენიჭებათ წითელ-არმიელთა შეღავათები, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას მათი ოჯახებისადმი საგადასახადო აპარატის მხრივ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წლებში წითელ-არმიელთა ოჯახებისათვის მინიჭებულ შეღავათების ცხოვრებაში გატარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ ხელისუფლებისა და საგადასახადო ორგანოების მხრივ.

საჭიროა ამ არა ნორმალურ მდგომარეობას ამ თავითვე ძირშივე მოეღოს ბოლო და წითელ-არმიელთა ოჯახებზე მინიჭებული შეღავათები სისწორით და სავსებით გატარებულ იქმნან ცხოვრებაში.

ამის შესრულება აგრეთვე დიდათ დამოკიდებულია ჩვენი ნაწილების ხელმძღვანელებისაგან, რომლებმაც ყოველმხრივ უნდა იზრუნონ ამ შეღავათების განხორციელებისათვის.

ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

დავუმუშავეთ გლეხებს ყანები.

მე 5 ლეგიონი.

5 აგვისტოს, მე-3 ათასეულის წითელ არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა გაემგზავრენ სოფელ №-ში გლეხების დასახმარებლად. სიმღერით, მუსიკით შევედით სოფელში.

მთელი სოფელი დიდის აღტაცებით მოგვეგება.

მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა გაიგეს ჩვენი მისვლის მიზანი.

გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ სოფელში არის შვიდი მოსახლე, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება.

რამდენიმე საათის შემდეგ მათი ყანები გავთოხნეთ და ისევ სიმღერით და მუსიკით გამოვეშურეთ ბინისკენ.

სამხკორი ბ. ბათიაშვილი.

მეტი ყურადღება სემინარებს.

(მე 4 ლეგ).

მე-4-ხე ლეგიონში არის ქოხ-სამკითხველოს სემინარი. სემინარს პირველად ორჯერ თუ სამჯერ ყველა სმენელები დასწრენ.

ქოხ-სამკითხველოს სემინარის მსმენელთა რიცხვი უდრის 23 კაცს, რომლებიც დიდი სურვილით მეცადინეობენ ყოველ თავისუფალ დროს, მაგრამ თავიეუფალი დროს შოვნა თანდათან ეძნელებათ ერთ დღეს მოდიოდენ სამეცადინოთ პირველი ნახევარი, მეორეთ მეორე ნახევარი, რადგან ყოველ მეორე დღეს უხდებათ განწესებაში გასვლა და ასე ამ ნაირად ქოხ-სამკითხველოს სემინარზე მეცადინეობა შეფერხდა. რასაკვირველია, ყველა ნაწილებში ასე არ ხდება.

მაგალითად მე-6 ტერლეგიონში სემინარზე სამეცადინო საათები გამოყოფილია განსაკუთრებით და მეცადინეობაც სწარმოებს სისტემატიურად. ჩვენთან კი ეს საქმე ჯერ-ჯერობით ვერ არის მოგვარებული, რომ კვირაში, მეტი თუ არა, სამი საათი მაინც დაეთმოთ ქოხ-სამკითხველოს სემინარისთვის.

აუცილებელ ყურადღების მიპყრობას თხოულობენ დღეს სემინარები და მას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. კარგი იქნება თუ ამ ნაკლს როგორც ჩვენთან, ისე სხვა ნაწილებში ბოლო მოეღება.

ბიბლიოთეკარი.

დავათვალიერეთ ელექტრონის სადგური.

მე-6 ლეგიონი.

ამას წინად მე-6 ლეგიონის წითელ-არმიელების ერთი ნაწილი წაიყვანეს ტრამვაის ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად, ამ დღეებში კი მეორე ნაწილი. საღამოს ექვს საათზე გავემგზავრეთ ელექტრონის სადგურზე. ექსკურსიას „ხელმძღვანელობდა ამხ. გვიჩია. სადგურის მუშები სიხარულით მოგვეგებენ. დავათვალიერეთ მთელი სადგური. უფროსი მექანიკი გვიხსნიდა სათითაოდ ყოველი მანქანის მნიშვნელობას და თუ რა როლს ასრულებს ის საერთო მუშაობის მიმდინარეობაში. ჩვენთან იყვნენ თათარი წითელ-არმიელები, რომელთაც თათრულად უხსნიდა ერთი მუშა.

სადგურის დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ცვალებადელებზე.

სამხკორი პალიასტომის ტბა.

მოახლოვდა აღლუმების დრო.

მე-3 ლეგიონი.

უკვე მოახლოვდა აღლუმების დრო, ჩვენი ლეგიონი დიდის ენერგიით ემზადება ამისათვის. საამისოთ მოხდა პარტპოლიტმუშაკთა თათბირი.

თათბირმა გამოიმუშავა პრაქტიკული ნაბიჯები, რაზედაც უნდა აშენდეს აღლუმებზე მუშაობის გეგმები. სამუშაო გეგმები შეადგინეს ცალ-ცალკე ყველა ორგანიზაციებმა, რომლებიც ერთვიან ბ. კოლექტივს და კლუბს. განსაკუთრებით კლუბი დიდ როლს თამაშობს აღლუმების დროს, რომელსაც აგიტპროპაგანდის მთელი სიმძიმე აწევს. კლუბიც ემზადება. დრამწრე რევოლ. პიესებს ამზადებს, პოლიტ და ლიტ. წრეები ლიტერატურულ გასამართლებისთვის ემზადებიან.

სამხკორთა წრე გამოსცემს კედლის გაზეთებს და სისტემატიურად მიაწოდებს წერილებს ცენტრალურ გაზეთებს აღლუმების მსვლელობის და სოფლებთან დაახლოების შესახებ. გამოყოფილია მკითხველთა და მოსაუბრეთა ჯგუფები, რომლებიც გლეხებთან აწარმოებენ სჯა-ბაასებს.

აგრეთვე გამოყოფილია კლუბის მიერ ერთი ჯგუფი, რომელსაც ევალება შეისწავლოს სოფლის: საკლუბო-საბიბლიოთეკო მუშაობა, ქალთა შორის მუშაობა და აწარმოვონ მათთან საუბრები ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე.

ასე ემზადება აღლუმებისათვის ჩვენი ლეგიონი.

ს. გეგია.

ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

საბანაკო ცხოვრებიდან.

ბანაკობა მიიწურა. ბანაკის შარა-გზაზე მრავალნაირი ხალხი მოძრაობს. ძნელია წარმოსადგენად როგორ დაყრუვდება ეს სოფელი, როდესაც ბანაკი აიშლება და მოაგარაკენიც წავლენ.

მაშინ აღარც იმერელი გლეხები აივლ-ჩაივლიან სოფლის ქარ-ვარამზე ასე ხმა მაღალი კამათით... სურამის ბაზრობაც შესწყდება და ახლომახლო სოფლებში—სიცივე დაისადგურებს!..

დღეს კი—შარა გზაზე დიდი მოძრაობაა.

აგერ, ერთმა გლეხმა ხილი გაყიდა, ტვირთი შეიმსუბუქა. და რადგანაც სურამს მიუახლოვდა, აბგიდან ქალამნები ამოიღო და იცვამს.

—რამდენი ვერსი გამოიარე ძმობილო? ეკითხება კურსანტი.

—ესე, ოცდახუთს გამოვივლიდი, მიუგო გლეხმა და დაუმატა, რომ—იგი წვრილ-შვილის პატრონია და თუ ქალამნებს არ გაუფრთხილდება—მეორე წყვილს გვიან ეღირსება.

ასეთ—გოდორ-მოკიდებულმა გლეხმა მრავალმა ჩაიარა.

დილის ათ საათზე წვიმა წამოვიდა და ორი დღის უწვიმარი მიდამო მორწყო.

ათი წუთით გზაზე მოძრაობა შენელდა. მზემ კვლავ მოიკრიბა სიცხოველე და მიწაც გააშრო.

შარა-გზა კვლავ ამოძრავდა. აქ ათას-ნაირი ხალხი ირევა.

მოძრაობა მეტის სისწრაფით სწარმოებს. ბანაკად თავმოყრილი ხალხი მრავალ სხვადასხვა მიმართულებით მიემგზავრება.

შარა-გზა კი მისია—ვინც დღეს არსად მიდის.

აზერბაიჯანის სკოლელები (ნაწილი) №-სკენ მიდიან.

—იქ ცოტას წავინადირებთო, ამბობენ...

ყველაზე ადრე ქართ. მეთაურთა სკოლიდან გაემგზავრენ სათევზაოდ.

აგერ, წითელ-არმიელთა შერეული ექსკურსია—წიფისაკენ მიემგზავრება. მათ წიფიდან მომავალი გლეხი ნახეს და ეკითხებიან: თუ იქ—რა უფრო საინტერესოა.

ორად დაჯგუფებული ქართ. კურსანტები სოფლის სამუშაოებზე მიემგზავრებიან. ესენი—პარტიული ამხანაგები და კომკავშირელები არიან; მათში რამოდენიმე უპარტიოც ურევია. თავისი სურვილით სოფელ №-ში მიდიან—უღარიბეს გლეხებს სამუშაოზე უნდა დაეხმარონ.

სპორტიც ემზადება. აზერბაიჯანელებსა და ქართ. სკოლელებს შეჯიბრება აქვთ.

საკლუბო მუშაკებსაც არა სძინავთ: ემზადებიან, ჯგუფებად ირაზმებიან და კულტურულად (საკლუბო მუშაობის მასალებით) შეიარაღებულნი—სოფლისაკენ მიემგზავრებიან.

№-ში მიმავალ ბიჭებშიაც არიან ისეთნი, რომელთაც შეუძლიათ გლეხებს თანამედროვე მდგომარეობა გაურკვიონ; კუპლეტები, ლექსები და სცენები წაუკითხონ, გლეხები გაამხიარულონ, მაგრამ მათი—სადღეისო მოქმედების პირველი მუხლი—ყანაში მუშაობაა. ესენი—ყველაზე ადრე გაემგზავრენ სოფლებისაკენ.

მათ მიჰყვნენ: ექსკურსანტები, შვებულების ხალხი და კლუბის მუშაკები, რომლებიც დანიშნულ სოფლებისაკენ სასულე ორკესტრით გაემგზავრენ.

მთელი ეს მოძრაობა და საქმიანობა პოლიტიკურ-კულტურული მუშაობისადმი სიყვარულის გამღვიძებელი და გამამხნევებელია.

მეტად ნაყოფიერი და ლამაზია კოლექტიური მუშაობა.

სამხკორი ჩვენი.

კულტურულ ფრონტზე.

მე-3 ლეგიონი.

მე-3 ლეგიონი დიდი ხანი არ არის რაც ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ბევრი რამეს გაკეთება შესძლო კულტურულ ფრონტზე. ამ დღეებში ლეგიონში მოხდა კლუბის გამგეობის, წრის ხელმძღვანელების და რედ-კოლეგიების თათბირი.

თათბირმა დაადგინა, გამოცემული იქნას ლეგიონის კლუბის სახელით კრებული, რომელშიაც უნდა იქნეს მოთავსებული ადგილობრივ დამუშავებული და ნათარგმნი პიესები. წ. არმიელები უნდა ღებულობდენ უშუალო მონაწილეობას ჟურნალის გამოცემაში.

ყოველივე მასალების დამზადება და მიწოდება თათბირმა დაავალა დრამწრეს, ლიტწრეს, პოლიტ წრეს და სამხკორთა წრეს. ჩვენს ლეგიონში გამოდის მანქანაზე დაბეჭდილი იუმორისტული ჟურნალი „წითელი მექამანდე“, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველებზე.

დამუშავებული წიგნი ეგზავნება პირველ დივ-პოლიტ-განს, რომელსაც თხოვს მთელი ლეგიონის უფ-პოლიტ და წ. არმიელთა შემადგენლობა, ჩვენი ლეგიონის კლუბის მცირე ნაშრომი გამოსცეს წიგნათ.

გ—ია.

კურსანტები გულმოდგინეთ აძლიერებენ სოფელთან კავშირს.

მეთაურთა სკოლა.

ქართულ მეთაურთა კურსანტები ღირსეულად ეჯიბრებიან სხვებს პირველობაში საკლუბო, სასოფლო და სხვა კულტურულ დარგების მუშაობაში.

მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი მიზეზებისა, კურსანტები მეტად სერიოზულად ეკიდებიან კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

ისინი ხშირად აღგენენ საკუთარ ინსცენიროვკებს, ისეთ ახალ მიმდინარე საკითხებზე, რომელზედაც ლიტერატურა და მით უმეტეს კლუბი (მასალებით) მეტად ღარიბია.

ამას წინად ქართული სკოლის კურსანტთა ძალებით დივიზიონის კლუბში გამართა საღამო წარმოდგენა შემდეგი შინაარსით: 1) სოფლის კორესპონდენტი და ახალ-წვეული (წითელ-სალიდილოში) 2) სამხედრო პროპაგანდის ინსცენიროვკა, 3) „ძლევის მარში“ (პოლიტ-მიმოხილვა გლეხთათვის) და 4) საკონცერტო განყოფილება.

საღამოს ნაჩქარეობა ეტყობოდა, მაგრამ შინაარსის მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

მეთაურთა სკოლის კურსანტები ამავე პროგრამით-მანევრების დროს—რამოდენიმე სოფელს გაუმასპინძლდენ.

გლეხები დიდი ინტერესით და სიამოვნებით ისმენდენ ამ ცოცხალს და შინაარსიან ინსცენიროვკებს...

კურსანტები სოფლად ყოფნის დროს დიდი ხალისით ეკიდებიან კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობას. მათი და გლეხობის დამოკიდებულება მეტად კარგია. ხშირად ვისმენთ გლეხობისგან ტკბილ საუბარს სოფლის ქარ ვარამზე და საბჭოთა ახალ აღმშენებლობაზე.

გლეხი კურსანტს და წითელ არმიელს ისე ენდობა და ესაუბრება, როგორც თავის შვილს.

ეს მუდამ ასეც უნდა იყოს, რადგანაც წითელი არმია მართლადაც—ყველა მშრომელთა მკვიდრი შვილია.

ეს კარგათ ესმით კურსანტებს და მათი მუშაობა გლეხობასთან დიდათ ნაყოფიერია.

სამხკორი ჩ.

ჩვენც ვვარჯიშობთ.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის მე-6 ასეულის ბანაკად გასვლის შემდეგ წითელ-არმიელები გაორკეცებულ ენერგიით აწარმოებენ ყოველ გვარ მეცადინეობას, როგორც სამხედრო, ისე კულტ. პ. საქმეში, ხშირად გვაქვს პრაქტიკული მეცადინეობა. შევისწავლეთ თუ როგორ უნდა ბრძოლის დროს თავშესაფარი ბინის გაკეთება. ამ დღეებში ჩვენი ასეულის უფროსის ხელმძღვანელობით წავედით მინდვრად ხელის სასროლი ყუმბარებით. იქ კარგა ახსნა-განმარტების შემდეგ შეუდექით ყუმბარებით ვარჯიშობას, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა. თავდაპირველად ჩვენი ასეული შესდგებოდა მეტი ნაწილი წერა კითხვის უცოდინარებისაგან მაგრამ დღეს არ ნახავთ ისეთ წითელ არმიელს, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა. ერთი სიტყვით ყველა დაინტერესებულია რომ საერთო განვითარება მიიღოს და კარგად შეისწავლოს, ყოველივე ის, რაც მათთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, სოფლად.

მით უმეტეს ძველი წითელ არმიელები გულ მოდგინეთ სწავლობენ, და უსმენენ პოლიტ-საათს, იძლევიან სხვა და სხვა შეკითხვებს.

სამხკორი იონა კორძახია.

ასეთები მეტი ჩვენს რიგებში.

ცალკე საავიაციო რაზმი.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ცალკე საავიაციო რაზმს მოევლინა ახალი კომენდანტი ამხ. ვ. გეგეშიძე, რომელიც მოსვლისთანავე ენერგიულად შეუდგა მუშაობას. ცალკე რაზმში საუცხოვო წესრიგია და დისციპლინის დარღვევას არ ქონია ადგილი. ასეულში დაცულია სისუფთავე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ამხ. გეგეშიძის მოსვლის შემდეგ გაცხოველდა მეცადინეობა. დიდი ყურადღება ექცევა წესდების შესწავლას. ყოველ გაუგებარ საკითხზე გარკვეულ პასუხს აძლევს ამხ. გეგეშიძე. თავისუფალ დროს ის წითელ-არმიელებთან ატარებს და ებაასება მათ სხვა და სხვა საგნებზე.

მადლობის ღირსია ამხ. ასეთი თავდადებული მუშაობისათვის.

მიშელ ასტრალი.

მოაგვარეთ ეს საქმე.

„წითელი არმიის და ფლოტის ბაღში“ არის ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის მკითხველთა უმრავლესობას შეადგენენ მოწაფეობა და მუშის შვილები. ბიბლიოთეკა იღება დღის 12 საათზე და ღიაა საღამოს 10 საათამდე. წიგნების გამოცვლა ამ ხნის განმავლობაში სულ სწარმოებს. ბაღში შესვლა 6 საათამდე უფასოა, ხოლო 6 საათის შემდეგ კი შესვლა ბაღში ფასიანია ყველასათვის, გარდა წითელ-არმიელებისა.

ხშირად მინახავს კარებთან გაჩერებული ბავშვები წიგნებით ხელში, რომელთაც არ უშვებენ ბიბლიოთეკაში წიგნის გამოსაცვლელად. ბილეთის ასაღები ფული მათ არა აქვთ.

ბიბგამგემ უნდა მოაგვაროს ეს საქმე, რომ ღარიბ მუშის შვილებს ჰქონდეს საშუალება წიგნების გამოცვლის. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნამე შესრულებული ძვირფასი მასწავლებლის ანდერძი: წიგნები მასას.

სამხკორი ეკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება.

მე-5 ლეგიონის კომუჯრედში.

1 აგვისტოს შესდგა მე-5 ლეგიონის პირველი და მეორე კომუჯრედების გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს ცაკის მეორე სესიის შესახებ, 2. საშეფო კომისიის არჩევა, 3. განცხადებების განხილვა და 4. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ანდღულაძემ, რომელმაც ფართედ გაგვაცნო მეორე სესიის დადგენილებები.

საშეფო კომისიის მოვალეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლაღაძე.

განცხადებების განხილვის შემდეგ პარტიის კანდიდატებათ დამტკიცებულ იქნენ ამხანაგები.

საშეფო კომისიაში არჩეულ იქნა ორი ამხანაგი, რომლებმაც უნდა აწარმოვონ მუშაობა სოფელთან კავშირის განმტკიცების საქმეში.

წ. ა. ახალციხელი.

მე-4 ლეგიონის პირველი ასეულის კომუჯრედში.

1 აგვისტოს, შესდგა მე-4 ლეგიონის პირველი ასეულის კომუჯრედის ღია კრება. კრებას როგორც პარტიულები, ისე უპარტიო წითელ არმიელებიც დაესწრენ. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება კოოპერაციაზე 2. განცხადებების განხილვა და 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კლუბის გამგემ, რომელმაც გააშუქა კოოპერაციის მნიშვნელობა მუშებისა და გლეხებისთვის. მოხსენების შემდეგ კრებას გამოაქვს შესაფერისი რეზოლიუცია. პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემოტანილ განცხადებების განხილვა გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

ე. ჭანტურია.

კურსების დამთავრება.

სკოლის გარეშე მუშაკთა მოსამზადებელი კურსები უკვე დამთავრდა 13 აგვისტოს. როგორც ვიცით ამ კურსების დაარსების მიზანი იყო სკოლის გარეშე მუშაკების უკეთ მომზადება. უნდა ითქვას რომ ეს კურსები ძალიან მოკლე ვადიანი იყო (2 თვიანი), მაგრამ მიუხედავათ ამისა მან ბევრი რამ მოგვცა.

13 აგვისტოს მოვაწყვეთ გამოსამშვიდობებელი საღამო, რომელზედაც დაგვესწრენ პოლიტ-სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი, მისი მოადგილე და სხვა უფროსი ამხანაგები.

იყვნენ აგრეთვე ჩვენი ხელმძღვანელებიც: ვასილევი, ბარბარინსკი და სხვა.

ამხანაგებმა წარმოსთქვეს გამოსამშვიდობებელი სიტყვები და გვისურვეს ნაყოფიერი მუშაობა. კურსანტების მხრივ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გალოვჩენკომ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელთ კურსანტების სახელით და უსურვა შემდეგისთვისთვისაც ასეთი კურსების დაარსება.

სამხკორი ეკალი.

მე-5 ასეული ალლუმზე.

1-ლი ლეგიონი.

1-ლ ქართ. მსროლელ ლეგიონის მე-5-თე ასეულში სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა, ხშირად ეწყობა ალლუმები და სხვა. 21 ივლისს დილით ადრე ეწყობა ასეული წინა ხაზზე.

ასეულის უფროსი ასეულიდან ყოფს ერთ ოცეულს, რომელმაც უნდა აწარმოვოს მოგერიებითი ბრძოლა. აძლევს მას ამოცანას და გზავნის №-ის გასამაგრებლად. სამი საათის შემდეგ მიდიან დარჩენილი ოცეულები. როდესაც გავცდით ბანაკებს, ასეულის უფროსის განკარგულებით ასეული ეწყობა ოცეულებათ, შემდეგ ათეულებათ და განაგრძობენ მოძრაობას. აღსანიშნავია მზვერავების მოძრაობა, თუ რა დაკვირვებით აწარმოებდენ ძიებას.

შემდეგ ყველა ოცეულები უერთდებიან უმთავრეს ნაწილს და გადადიან შეტევაზე, იკავებენ მტრის სიმაგრეს. დასასრულს ასის თავის განკარგულებით იკრიბება მთელი წ. მოლაშქრები და არჩევენ ალლუმის უარყოფით და დადებით მხარეებს.

საერთოდ ალლუმი დამაკმაყოფილებელი გამოდგა.

სამხკორი ი. შანიძე.

გლეხის საქონელს სიფრთხილით მოეპყარით.

მე-3 ლეგიონი.

ხშირად იწერება ჩვენი გაზეთში, რომ გლეხის ქონებას სიფრთხილით მოეპყარით, მარა ამას ზოგიერთი ამხანაგი ყურადღებას არ აქცევს და გლეხის საქონელს ძალიან ცუდათ ეპყრობა. ჩვენი ბანაკი სოფლის მახლობლადაა მოთავსებული ბანაკში ხშირად შემოდიან გლეხის ძროხები, ღორები, და სხვა აქვე დაცვენილ თივას, ქერს სჭამენ. იმის მაგივრად რომ საქონელი გადადენონ, ან გააფრთხილონ გლეხი, რომ მეორეედ არ გამოუშვან თავიანთ საქონელი ბანაკში, ზოგიერთი ამხანაგები მისდგებიან საცოდავ პირუტყვს და უწყალოდ სცემენ. რასაკვირველია ეს გლეხსა სწყინს და ცუდი აზრის ხდება წ. არმიელებზე.

საჭიროა ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს.

სამხკორი **სამელნე.**

ჩვენთანაც კარგად მიდის მუშაობა.

1-ლი არტლეგიონი.

პირველ არტლეგიონის შეერთებულ გუნდში ყველა დარგში მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. წერა-კითხვას ახლად შესწავლილნი წითელ არმიელები დიდის ხალისით ეტანებიან გაზეთების და წიგნების კითხვას. მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს. გუნდში გვაქვს მშვენივრად მოწყობილი წითელი კუთხე. გაზეთები ყოველ დღე მოგვდის. საღამოობით ტარდება საუბრები სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე. სწარმოებს ხმამაღალი კითხვა და შემდეგ წაკითხულის გარჩევა.

წ. ა. მოლითის პირელი.

ახალი ამბები.

— **კონკურსი ლეგიონებს შორის.** მე-2 დივპოლიტგანის სააგ.-საპრ. განყოფილებას განზრახული აქვს მოაწყოს სექტემბერში ლეგიონების შეჯიბრება (კონკურსი) სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

— **საპროექციო სანათურები.** პოლიტგანყოფილებამ წინადადება მისცა ყველა ნაწილებს შეიძინონ ახალი ტიპის საპროექციო სანათურები, რომლითაც გაადვილდება სინათლის გაზეთების მოწყობა, სურათების ჩვენება და სხვა.

— **ქვა-ნახშირის ამოღება.** უმაღლეს სამ. საბჭოს გეგმით მომავალ წელში ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებულ იქნება 5.400.000 ფუთი ქვა-ნახშირი.

— **საქართველოს პროფკავშირებს** დღევანდლამდე გაუხსნიათ 138 წიგნსაცავი, სადაც ითვლება 152 ათასი ცალი წიგნი.

— **ჯანსახკომის** საექიმო ქვეგანყოფილება ამ დღეებში შეუდგება დაზღვეულ მეპურეების ჯანმრთელობის გამოკვლევას.

— **მონადირეთა კავშირის** დადგენილებით აკრძალულია ნადირობა შევარდენითა და ქორ-მიმინოთი ხოხბებზე.

— **ტრაქტორების შეძენა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეუკვეთა გერმანიაში კიდევ ათი ტრაქტორი, რომელიც უკვე დაიტვირთა გემზე ქალ. ჰამბურგში.

— **ფოსტა-ტელეგრაფის** საოლქო კავშირს განზრახული აქვს შეუდგეს ბორჯომში უწყების მუშა-მოსამსახურეთათვის დასასვენებელ სახლის აგებას.

— **სას.-სამეურნეო გამოფენა.** 1926 წლისათვის ტფილისში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე მონაწილეობის მიზნით ყველა უცხოელ ფირმებს გაეგზავნათ შესაფერი ცნობები.

— **ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა.** ივლისის განმავლობაში ტფილისის სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო 168 ბოროტმოქმედი.

— **აფხაზეთის მრეწველობის** ასაღორძინებლათ საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭომ გადასდო 450 ათასი მანეთი.

ხელოვნება.

— **წითელ არმიისა და ფლოტის ბაღში.** დღეს გაიმართება დიდი საღამო, უჩვენებენ კინო სურათს „ნაპერწკლისაგან ცეცხლი“ 6 სერიათ.

— **კვირას 16 აგვისტოს** იქვე გაიმართება დიდი კონცერტი და კინო სურათი. ორშაბათს კი უჩვენებენ კინო სურათს.

ვინ იქნება შემდეგი?

მე-5 ქართულ მსროლელ ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა სწირავს ორას მანეთს ავიოქიმიის ფონდის გასაძლიერებლათ და იწვევს თავის მხრივ 1-ლ და მე-3-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობას.

მე-5-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა.

ნარევი.

მიწის ქვეშ სამეფო.

ახალი მექსიკის შტატში (ამერიკა) ქალაქ გვადელუპასთან აღმოჩენილ იქნა ამ ახლო წარსულში მიწის ქვეშ მოთავსებული მთელი სამეფო. მისი სიგანე უდრის ნახევარს და სიგრძე კი რამოდენიმე ათეულ მილს (მილი ნაკლებია ვერსზე).

აღმოჩენილია მრავალი ჩონჩხები, იარაღები და ოჯახის მოწყობილობები.

არქეოლოგიური გათხრები ყირიმში.

ყირიმში ჩავიდა პროფეს. ბოროზდინი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელოდ, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მოახდინოს გათხრები ყირიმის ძველ სატახტო ქალაქ. სოლხატში (ძველი ყირიმი).

ექსპედიცია შეისწავლის აქვს თუ არა ადგილი ყირიმის თათრების კულტურაში ოქროს ურდოს კულტურის გავლენას.

არქეოლოგიური გამოკვლევანი ამტკიცებენ მას რომ 700 წლის წინად რუსეთის სამხრეთ ნაწილში გამოჩენილი თათრები იყვნენ არა ველურები, არამედ კულტურული ხალხი, რომელთაც შეთვისებული ქონდათ ჩინეთისა და შუა აზიის კულტურა.

დახმარების გაწევა საჰაერო მიმოსვლისთვის პოლიარულ ოლქებში.

მთელ რიგ დასავლეთის გამოჩენილ მეცნიერებმა და მათ რიცხვში პროფესორ ნანსენმა მოაწყვეს „პოლიარული ოლქების გამომრკვევი საერთაშორისო საზოგადოება“. ამ ახალ საზოგადოებამ მიიღო დირიჟაბლების ფირმის, ცეპელინის (გვარია ამ საჰაერო ნავების, ე. წ. დირიჟაბლების გამომგონებელის) წინადადება ახალი გიგანტი—ცეპელინის აგების შესახებ პოლიარულ ოლქებში სამოგზაუროდ.

მოცულობა ამ ცეპელინისა განზრახულია 105.000 კუბ. მეტრი.

გეგმა ამუნდსენის ახალი გაფრენის შესახებ ჩრდილოეთ პოლიუსზე.

ამუნდსენი კიდევ აპირებს გადაფრენას ჩრდილოეთ პოლიუსზე. ნორვეგიაში გავრცელებულია მოწოდება ნორვეგიელ მეცნიერების, სადაც ისინი მოუწოდებენ ადგილობრივ მცხოვრებს დახმარება აღმოუჩინონ „ამუნდსენის ფონდს“ პოლიარულ ოლქების გამორკვევის გასაგრძელებლად.

ცნობილ მფრინავმა, ერთერთ დირიჟაბლის უფროსმა ეკკეპერმა, ურჩია ამუნდსენს პოლიარულ ქვეყნების გამორკვევისთვის ისარგებლოს ცეპელინით, რომელიც მისი აზრით უფრო გამოსადეგია ამ ამოცანის შესასრულებლად ვიდრე თვითმფრინავი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

1-ლ ქ. მ. ლ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე ალალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითელაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ჭყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კაკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო თელავის მაზრა, 11. აფრიაშვილი სერგო, თელავის მაზრა 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ჯავახოვი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ჭ. ს. ც.
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.